



საქართველოს

ფასი 10 მან. ხუროთმოძღვრით, დეკემბრის 30 1920 წ.

რესპუბლიკა

შთაჯიგონის მოამბე, უფლებდლოური გაზეთი
(ოფიციალური და არაოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ხე გ. 15 მან. სამკლავიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლო. უწყ. განცხადებ. ან 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20-%, რედა. გციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-83

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ

გ ა ზ ე თ

„საქართველოს რესპუბლიკა“-ზე

გაზეთი ი თვიურად აღიკვეთა 500 მანეთი, წლიურად 6,000 მან. ხელკე ნომერი 20 მან. ნისიათ გაზეთი არაპირს გაგზავნება. გაზეთის წყვეტილი რიხსი პრ დანიგაქდაგა.

ხვალდებულა განცხადებათა დაბეჭდვა, როგორც არის შემკვიდრების გა მოწვევა სიგელის და ანდერძის დამტკიცება და სხვათა 1921 წ. იანვრ. 1-დან ღირს 600 მან., ფული აუცილებლად უნდა იქნას შემტანილი კანტონში.

საქართველო თეატრი

ოპერა.

ხუთშაბათს, 30 დეკემბერს

გამოსათხოვარი სიმფონიური კონცერტი

ა. კ. ბელოუსოვის და ე. ი. ბოროცკის მონაწილეობით. პარასკევს, 31 დეკემბ., ბალეტის საღამო მორდკინის „კარნავალი“. შაბათს, 1 იანვარს, ოპერა მუგებელის „ფრა დიავოლო“.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011 1-1

საზოგადოება

„გაგუასია და მერკურის“ და „გოსტოჩნოე“

გენერალური წარმომადგენლობა

დიდი ბრიტანეთის სანაოსნო საზოგადოების

„კონარდ ლაინი“-ს

გამოწევი მოვიდა შაბათს: „ანტიპოდონი“

მიიღება ტვირთი გასაგზავნათ: კონსტანტინეპოლში, ლონდონში, მიდლსბროში, როტერდამში და ანტვერპენში

მიიღება აგრეთვე ტვირთი პირდაპირი კონესამეტებით ნიუ ორკში, ბოსტონში, ფილადელფიაში და კანადაში.

დაზღვევა უცხოეთის ვალიუტით. ერენის მოედანი. ტელ. 6-82. 4525 3-1.

კახეთის რკინის გზის საზოგადოების

გ ა მ გ ე მ გ ა

აუწყებს ბ. ბ. აქციონერებს,

რომ მორიგი საზოგადო კრება, რომლის განსახილველი საგნები გამოცხადებული იყო „საქართველოს რესპუბლიკის“ დეკემბრის № 295, 296 და 297 შესდგება კვირას 30 იანვარს 1921 წ. დილის 12 საათზე გაგეობის ს. დგომში, ქ. ტფილისი, ელისაბედის ქუჩა № 73. ამ კრებაზე დასასწრებლად აქციების ან მათ მაგიერ სახელმწიფო ბანკს და სხვა კერძო საკრედიტო დაწესებულებების მოწოდებებს, რომ ამ მოწოდებებში აღნიშნულ ნომრების აქციები მათ აქვთ შესანახად ან გირაოდ და არ იქმნებიან ვაცემულნი მორიგი კრების მეორე დღემდე, გაგეობა მიიღებს ყოველ დღე გარდა უკმეებისა დილის 11 საათ. დღის 2 საათამდე, ზემო აღნიშნულ მისამართით; უკანასკნელი ვადა აქციების და მოწოდებების წარმოდგენისა წესდების § 43 თანახმად შესრულდება შაბათს, 15 იანვარს, 1921 წ. დილის 2 საათზე.

1046

1-1

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციას ნიხრის გადიდებისა.

1. დამფუძნებელი კრების 1920 წ. მარტის 26 ს დეკრეტით დაწესებული საფოსტო და სატელეგრაფო შინაგანი კორესპონდენციის ფასი (კან. და მთავ. განკარგ. კრებ.)

1920 წ. № 9 კან. 50) გადიდებულ იქნეს ამ დეკრეტთან დართული ნიხრის თანახმად. 2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. დეკემბრის 21-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარე ნ. ვარდანიძე.

ნიხრი

ფოსტა-ტელეგრაფის შინაგანი კორესპონდენციისა.

გასაგზავნის დასახელება.	ახალი ნიხრი
1) ბანდეროლები: ა) ბეჭდვითი ნაწარმოებისთვის და ბ) საქ. მის ქალაქებისთვის სხვაგან გასაგზავნისათვის	პირველი 30 გრ. 3 მან. შემდეგ ყოველ 15 გრ. ან ნაწილისთვის 1 მან. პირველ 30 გრ. 10 მან. შემდეგ ყოველ 16 გრ. ან ნაწილისთვის 3 მან. იგივე რაც საქმის ქალაქებისთვის.
ბ) საქონლის ნიმუშებისთვის:	
2) დია წერილისათვის:	
ა) ადგილობრივისთვის	3 მან.
ბ) სხვაგან გასაგზავნისათვის	5 მან.
3) დასურული უბრალო წერილისთვის: ა) ადგილობრივისთვის	პირველ 30 გრ. 6 მან. შემდეგ ყოველ 30 გრ. ან ნაწილისთვის 3 მან. ყოველ 15 გრ. ან ნაწილისთვის 10 მან.
ბ) სხვაგან გასაგზავნისთვის	
4) მისალოცი საღარბაზო ბარათისთვის: ა) ადგილობრივისთვის	იგივე რაც უბრალო წერილისთვის.
და ბ) სხვაგან გასაგზავნისთვის	წონის ფასი უბრალო წერილისა, დასაზღვ. 10 მან.
5) დასაზღვევი წერილისთვის	
6) ფასიანი წერილისათვის: ა) ადგილობრივისთვის	წონის ფასი უბრალო წერილისა, დასაზღვევი 100 მან. ან ნაწილისთვის 10 მან.
ბ) სხვაგან გასაგზავნისთვის	წონის ფასი უბრალო წერილისა, დასაზღვ. იგივე ადგილობრივი ფასიანი წერილისა. 100 მან.-მდე 5 მან. 5 მან.-დან 1000 მან.-დე პირველ ას მანეთს გარდა, რომელიც 5 მან. ღირს ყოველ ას მანეთის ან მისი ნაწილი თვის 4 მანეთით. 1000 მან. და 10000 მდე პირველ ას მანეთს. ზევით, რომელიც 41 მ. ღირს, ყოველ 100 მ. ან მის ნაწილისთვის 3 მან. 10000 მან. და 100000-მდე პირველ 10000 მან. ზევით, რომელიც 221 მან. ღირს, ყოველი ასი მანეთისთვის ან მის ნაწ. 2 მან. 100000 მანეთის ზევით. ყოველგვარი თანხა-პირველ 100000 მან. ზევით, რომელიც 2021 მან. ღირს. ყოველი ასი მანეთის ან მის ნაწილისთვის 1 მან.
ბ) გაგზავნილის მიღების შეტყობინება: ა) ადგილობრივისთვის	5 მან.
ბ) სხვაგან გასაგზავნისთვის	10 მან.
9) გაგზავნილი კორესპონდენციის მოძებნის, შეჩერების, დაბრუნების და მისამართის გამოცვლის განცხადებისთვის	თვითვეულ გაგზავნილისთვის ადგილობრივის 10 მან. სხვაგან გასაგზავნისთვის 20 მან.
10) შინ მიტანა საფოსტო ფულის ბარათებისა და ფასიანი წერილისთვის	1000 მანეთამდე 20 მან.
11) სააბონემენტო სარეგულაციისთვის	ტფილისსა და ბათუმში 1000 მან., ქუთაისსა და სოხუმში 750 მან. დანარჩენ ადგილებში 500 მან. წონის ფასი ასი ვერსის მანძილზე პირველ 5 გირ-დე 15 მან. 100-200 გ-დე 30 " 200-300 " 45 " 300-500 " 65 " 500 ვერს ზევით 75 "
12) ამანათები: ა) უფასო	5 გირვანჭზე ზევით თვითვეული გირვანჭის ან მისი ნაწილისთვის 100 ვერსის მანძილზე 2 მან. 100-200 ვერსამდე 3 მან. 200-300 " 4 " 300-500 " 5 " 500 ვერს ზევით 7 "
ბ) ფასიანი ამანათი	წონის ფასი იგივე, რაც უფასო ამანათისა, დასაზღვევი, როგორც ფასიანი წერილისა. ყოველ ადგილში 5 გირ-დე 20 მან. 10 გირ-დე 50 მან.
გ) შინ მიტანა ამანათისა	ამანათზე პლომბის ან ლუქის ბეჭდის დასმისთვის 10 მან. კონვერტის დალუქვისთვის 10 მან. დღე და ღამეში 5 მან. ყოველ ასი მანეთის ან მისი ნაწილისთვის 10 მან.
13) პლომბის ან ლუქის ბეჭდის დასმისთვის	ერთი ორად მეტი გადაუხდელი ფასისა.
14) ამანათის შესანახი	სიტყვა 5 მან.
15) ფას დადებული კორესპონდენცია	სიტყვა 10 მან. ფასი ერთი სამად მეტი, ვიდრე უბრალოსთვის.
16) სრულებით ან ნაწილობრივ ფასდადებულ კორესპონდენცია	ფასი ერთი ორად მეტი, ვიდრე უბრალოსთვის.
17) გადაცემა და ჩაბრუნება დეპეშებისა: ა) ადგილობრივისთვის	ფასი ერთი ოთხად მეტი, ვიდრე უბრალოსთვის.
ბ) სხვაგან გადასაცემი	ყოველ ას სიტყვისა ან მისი ნაწილისთვის 20 მან. მისამართების რაოდენობის მიხედვით, პირველი მისამართი არ ითვლება.
გ) სსწრაფო დეპეშა	
დ) უბრალო დეპეშის გადაცემის შემოწმებით	
ე) სასწრაფო დეპეშები გადაცემის შემოწმებით	
ვ) რაოდენიმე მისამართიანი დეპეშა	

- ბ) მიღების შეტყობინება ტელეგრაფით.
- გ) დეპეშის ტელეფონით გადაცემა
- თ) სააგენტოს დეპეშით
- ი) ფულის ბარათი დეპეშით
- კ) დეპეშები, რომელსაც გზავნის რესპუბლიკის ბანკი, მისი განყოფილებაში, ხ ზინა და ყოველივე საკრედიტო დაწესებულება მესამე პარტიათა ფულის ან რაიმე ფასეულების მიცემისთვის
- ლ) შიკრიკით დეპეშების გზავნა ტელეგრაფის სადგურს გარეშე
- მ) პირობითი ან შეიშლებული მისამართის სარგებლობა
- ნ) შეჩერება, ან დაბრუნება გადაუცემელი დეპეშების გამგზავნელის განცხადების თანახმად

- 18) ყოველგვარი კორესპონდენციის მისაღები ბილეთებისათვის
- 19) შეღავათიანი კორესპონდენციის პირადული ხასიათის მიმოწერის აღმოჩენისთვის

ას სიტყვიანი უფრალე ან სასწრაფო დეპეშის ფასი.
სიტყვიანის 3 მან.
სიტყვიანის 3 მან.
500-მდე 10 სიტყვიანი და 500 მანეთის ზევით 20 სიტყვიანი უფრალე დეპეშის ფასი.
სიტყვიანის მიხედვით სასწრაფო დეპეშის ფასი.

თუ დეპეშა სრულად არ გადაცემულა, გამგზავნელს დაუბრუნდეს მისი საფასური ერთი მიმღებლის გამოკლებით. სასწრაფო დეპეშისათვის დაეჭროს ისე, როგორც უფრალე დეპეშისათვის. თუ დეპეშა აპარატით გადაცემულია შეჩერებისათვის გამგზავნელს გადახდეს სასამსახურო დეპეშის ფასი და პირვანდელი დეპეშის საფასური არ დაუბრუნდეს.

ტელისისა, ქუთაისისა და ბათუმში წლიურად თვითურად ბილეთისათვის 500 მ. და ნარჩენი ადგილებისთვის 250 მ.
თვითურად გასაგზავნისთვის დამნაშავეებს უნდა გადახდეს 200 მან.

თუ დეპეშა სრულად არ გადაცემულა, გამგზავნელს დაუბრუნდეს მისი საფასური ერთი მიმღებლის გამოკლებით. სასწრაფო დეპეშისათვის დაეჭროს ისე, როგორც უფრალე დეპეშისათვის. თუ დეპეშა აპარატით გადაცემულია შეჩერებისათვის გამგზავნელს გადახდეს სასამსახურო დეპეშის ფასი და პირვანდელი დეპეშის საფასური არ დაუბრუნდეს.

ბ. კელა (ადგილიდან) ძალიან გეწყინათ? გ. ერაძე—ეს დავა არის—სტორიული დავა მუშათა კლასის და ჩვენ ბურჟუაზიის შორის. თქვენთვის მიუღებელი და შეუძლებელი არის, რომ გეყინდელი პრივატიზაცია, საპოენიკი, დურგალი და კალაჯოზი, სახელმწიფოს სათავეში იდეს. ეს თქვენთვის მიუღებელი და მიუღებელი არის; ეს დავა თქვენსა და ჩვენს შორის არის ის დავა, რომელიც 25 წლის წინდაც არსებობდა. იგი დაიწყო ილია ჭავჭავაძის, როცა მუშათა კლასი პირველად გამოვიდა საქართველოში პოლიტიკურ ასპარეზზე, მას ილია ჭავჭავაძემ ნულები დაუძახა.

შ. ნუცუბიძე (ადგილიდან)—თქვენ ზაპსებზე ილაპარაკებთ. გ. ერაძე—და დღეს მას ეძახიან პრივატიზაციას. ჭავჭავაძის ჰქონდა თავისებური თეორიული საბუთი ილაპარაკა მაშინ მუშებზე ამგვარად, მაგრამ დღეს, როცა ოცდა ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ და ქართველმა მუშათა კლასმა დაამტკიცა თვისი პოლიტიკური სიმწიფე, განა ვაქვთ უფლება ასეთი ლაპარაკისა? განა სამი წლის არსებობა ჩვენი სახელმწიფოსი იმას არ ამტკიცებს, რომ თქვენი ნათქვამი დარღვეული არის თვით ცხოვრებისაგან?

ადერბეიჯანში მეთაურობდა ბურჟუაზიული კლასი, ბეგები და კაპიტალისტები. მათ ვერ შესძლეს იმ უნარის და გამოკითხვის გამოჩენა, რომ შეენახათ საკუთარი სახელმწიფო და დაეკავათ თვისი ერა.

სომხეთში სათავეში იდგა ბურჟუაზია, მათაც ვერ გამოიჩინეს უნარი და ენერჯია, რომელიც საჭირო იყო ერის დასაცავად. აქ კი, საქართველოში, სადაც მუშათა კლასი დადგა სათავეში, სამი წელია აწარმოებს თვისი პოლიტიკის და მან თვისი შეკვების და მომწიფების მოცებით მოგვიყვანა დღემდე. განა ეს პრაქტიკულად დამტკიცება არ არის იმისა, რისიც თეორიულად წინააღმდეგნი იყავით წ. რსულში?

ბ. კელა (ადგილიდან)—რა შუაშია აქ ერაძე. გ. ერაძე (ადგილიდან)—აქი ამიტომ გვიცნო ერა ლიგამ!

გ. ერაძე—ამიტომ, აბუჩად ავადება, სიცილის დაყრა იმაზე, თუ ვინ რომელ როლს თამაშობს წარმოებაში, არ არის საბუთი ქ შპარტების დასამტკიცებლად. როცა გინდათ დაამტკიცოთ რომელიმე დებულება, თქვენ უნდა მოაყვანოთ მხოლოდ საბუთები, ჩვენ კი თქვენგან ვერც ვავიჯინებთ და ვერც ვანახლებთ ეს საბუთები. მე ნება მიბოძეთ, რომ თქვენ უსაბუთობას დაუპირდაპირო საბუთები.

„ვინც რომ თავი არ იცის, იგი ბოლოსაც ვერ გაიგებს“—ეს ქართული ანდაზა (ემარჯუნებისაგან)—თქვენთვის საჭირო არის, რომ იცოდეთ! ვასაც უნდა პირუთვნელად დაფასოს მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობა, მან არ უნდა დაიფიქროს ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური, ფინანსური და ეკონომიური მდგომარეობა და არც ის მდგომარეობა, რომელიც იყო ამ ერთი წლის წინედ.

მომარაგების სამინისტრო დაარსდა იმ დროს, როცა ჩვენში მეჩად დიდი გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა იყო. რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად ეს მდგომარეობა?

მუშათა კლასმა გადადგა ნაბიჯი, რომელმაც იქონია დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელმწიფოს ფინანსების მოწესრიგების საქმეში. იგი არ იყო უზრუნველყოფილი თუნდაც იმდენად, რამდენადაც დღეს არის, ვინაიდან, გარდა რკინის გზის მუშებისა და გარდა 4—5 ათასი ტფილისის მუშებისა, არავის არ ეძლეოდა სახელმწიფოსაგან პური. სწორედ ამ პურის უქონლობა იყო შთაავარი მიზეზი იმისა, რომ მუშებმა განაცხადეს: „ბ. ნებო, არ გვინდა თქვენ მიერ ჯამაგირის მომატება, ოღონდ საქვე დააყენეთ ისე, რომ ჩვენ შეძლება მოგვეცეს პურის მიღებისა, უბრალოდ ცხოვრება შეუქნებელია, რაკი ჯამაგირის გადღობა, ფულის გაღება არავინ რეალურ გავლენას არ ახდენს ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, პირიქით, ზედმეტი ბონების გამოცემა რეგ ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობას, ჩვენ ამაზე უარს ვამბობთ, ოღონდ პური მოგვეცეთ“.

ეს პურის მიცემა არ იყო პატარა და ადვილი საქმე. ეს იყო უდიდესი საქმე და ამის მოწესრიგება იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ დავიწყეთ მუშათა იყო მეტად ძნელი და მოთხოვნილი ჩვენგან დიდ ენერჯიას. მე მესამის ისეთმა ხალხმა გვითხრას არაფერი გავი-

ტებობათო, რომელსაც არავითარი წილი არ მიუძღვის მსოფლიო უზედურებაში, მაგრამ ხომ თქვენმა წარმომადგენელმა (ბურჟუაზიამ) ხუთი წლის წინეთ ასტუხეს საერთაშორისო ომი, ქვეყანა მიანგრ-მოანგრეს, რკინის გზები გააფუქეს, წარმოება დაშალეს, აუარტელი ოქო-ვერცხლი გაფლანგეს, მილიონობით ხალხი დაღუპეს, მილიონობით დაამახინჯეს და მსოფლიო უზეჯროლის პირამდე მიიყვანეს! აი ასეთი ხალხი ახლა მოგვდგამია და გვეუბნება: რატომ სპოთხე არ ააშენეთ! განა ჩვენ დანგრეული და ეკონომიურად განადგურებული ქვეყანა არ მივიღეთ სამემკვიდროთ? განა ჩვენ რომ სამოქმედო ასპარეზზე გამოვედით ყველაფერი რიგზე იყო?!

როცა მომარაგების სამინისტრო დაარსდა, მაშინ ჩვენი ქვეყანა იყო დამშეული. რაჰის შიოდა, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები დამშეული და განადგურებული იყო; ტფილისის მაზრის ერთი ნაწილი დამშეული იყო, შორაპნის და სენაკის მაზრები ექვსი თვის შემდეგ დამშენენ, ზუგდიდის მაზრის ერთი ნაწილი აგრეთვე ექვსი თვის შემდეგ დამშენენ. ჩვენს პატარა ქვეყანაში, აი ამდენი მაზრები დამშეული იყო. ჩვენი სახელმწიფო კი არ იყო ისე აწყობილი, რომ ყოველი დარგი ისე ყოფილიყო ჩამოყალიბებული და მოწყობილი, როგორც ეს სახელმწიფოსათვის საჭირო იყო. ამაში ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის. და განა ორი წლის განმავლობაში ჩვენ შევსძლებდით იმას, რასაც სხვაგან 100 წლის განმავლობაში აკეთებდნენ? თქვენ თუ დამტკიცებთ, რომ სახელმწიფოს არ ემჩნევა ტენდენცია წინსვლისა, განვითარებისა და განამტკიცებისა, მაშინ სხვა საკითხია, მაგრამ სანამდის თქვენ ეს არ დაგიმტკიცებიათ, უფლებდა არა ვაქვთ ილაპარაკოთ—არაფერი ვაკეთებულა!

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ შორაპნის სომხეთი აგრეთვე დამშეული იყო, ჩვენი საზღვრები კი ჯეროვანად არ იყო დაცული და ნახევარზე მეტი კახეთში მოსული პური გაზიდულ იქნა საზღვარ გარეთ. ამ რიგით, შიგნით შიმშილი, მეზობლებიც დამშეული; აი რა პირობებში ვივხარებთ ჩვენ მომარაგების სამინისტროს. ეს იყო იმ დროს, როცა ახალი მოსავლის პირველი მერიდი უკვე გასული იყო და ყიდვის სეზონი გაშვებული. აი ამ პირობებში, როცა სახელმწიფო ფინანსურად გაჭირვებული იყო, მომარაგების სამინისტროს არ ჰქონდა საშუალება, რომ თითოიდან გამოეწეწნა პური...

ბ. კელა (ადგილიდან)—ეს უნდა ექნა. გ. ერაძე. ეს თქვენ თუ შეგიძლიათ ქვენი თქვენი კლასისათვის, ვინაიდან ისიც დამშეულია. ჩვენ ეს არ შეგვიძლია. ჩვენ მიერ დასახულა მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო შეძლება და ქონება. ეს კა, როგორც მინსენება დამფუძნებელ კრებას, ჩვენს სახელმწიფოს არ გააჩნდა. მას არ ჰქონდა საჭირო ოქო, ვერცხლი, ისეთი ფული, რომლის გამოყენება შესაძლებელი იყო საზღვარ გარეთ და რომლის საშუალებით საქონლის შექნა შეიძლებოდა იქ.

როგორი იყო ის აპარატი, რომელიც ჩვენ დაგვანდა?

სანამ მომარაგების სამინისტრო დაარსდებოდა, არსებობდა სასურსათო ორგანიზაცია სულ 3 თვის განმავლობაში, მაგრამ ამ ორგანიზაციაში ამ ხნის განმავლობაში ვერ შესძლო სათანადო აპარატის მოწყობა. ამიტომ მომარაგების სამინისტროს დაარსება ნიშნავდა მხოლოდ მომარაგების მინისტრის დანიშნვას, ვინაიდან ჩვეულდებრივ პირობებში, როცა ერთი მინისტრი მიდის და მეორე ინიშნება, უკანასკნელს მოწყობილი აპარატი ხვდება. მომარაგების სამინისტროს მიმართ კი ეს არ ყოფილა. საქმეები კი მეტად საქნელი დავისა. ქვეყნის გამოკვება, მუშა-მოსამსახურეთათვის საჭირო საგნების შექნა, მინისტრისათვის უაპარატობის გამო მეტად საქნელი იყო და ვინც უნდა ჩამდგარიყო ამ საქმეში, ყველასათვის ისევე ძნელი იქნებოდა ამ საქმის მოგვარება.

ჩვენ პირველად ყოველისა დაყავენით საკითხი: რა უნდა გავაკეთოთ? და მაშინვე ჩამოგვირეთ ის, თუ რა იყო საჭირო, რომ ჩვენ მიერ დასახული მიზანი კონკრეტულად განგვეხორციელებინა. იმ ამონაწერიდან, რომელსაც მე თქვენ წავიკითხავთ, თქვენ დინახავთ, თუ რა დიდი, ბუმბერაზი საქმე ქონდა გასაკეთებელი მომარაგების სამინისტროს. თქვენ სწორედ ამ საქმის დაინახავთ, თუ რამდენად მძიმედ და პასუხსაგებია მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული მომარაგების სამინისტროს. რაში გამოიხატებოდა ჩვენ მიერ დასახული პროგრამა მინიმუმ? ჩვენ უნდა გავგე-

დეკრეტი

რესპუბლიკის ქალაქთა მილიციის შეხანახი ხარჯის 75% ხაზინიდან გაცემა.

1. დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის ივლისის 6ს კანონის მეორე (2) მუხლის მოქმედება (კან. კრებ 1920 წლ. № 20, კან. № 171),—რესპუბლიკის ქალაქთა მილიციის მთელი ხარჯის სამოცდა თხუთმეტი პროცენტის (75%) სახელმწიფო ხაზინის მიერ ანაზღაურებისა,—განგრძობილ იქნეს ამა 1920 წლ. ივნისის 1-დან მიმდინარე საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

2. ამ დეკრეტის პირველ (1) მუხლში აღწნული საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის 1920 წლის ივნისის 1-დან 1921 წლ. ივნისის 1 დეკრეტით თვრამეტი მილიონი ას ორმოცდაცამეტი ათას ექვსას ცხრამეტი (18.153.619) მანეთი.
3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
1920 წ. დეკემბრის 21 ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის თავმჯდომარის თავმჯდომარე ნ. ურდანი.

ლაგოშენებელი კრება

მომარაგების მინისტრის გ. ერაძის სიტყვა.

(14 დეკემბრის სხდომა).

მოქალაქეო, დამფუძნებელ კრების წევრნი! არსებობს ერთი დებულება, რომლის ჭეშმარიტებას არსებული საზოგადოებრივი კლასები ერთნაირად აღიარებენ. ეს არის ის დებულება, რომ ყოველ გვარი კრიტიკა უნდა იყოს პირუთვნელი, უსმობელი, მიუღებელი და სამართლიანი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი საზოგადოებრივი კლასი ამ დებულებას სამართლიანად სცნობს, ნამდვილად, ყველა კლასი ერთნაირად პირდაპირად და პარწმინდად ვერ ატარებს მას პრაქტიკულად ცხოვრებაში. რამდენადაც ბურჟუაზიულია კლასი, მეტად უსმობელი და დაუნდობელი არის, რომ ამ ცნოს სხვა კლასის დეფექტები და შეცდომები, იმდენად იგი უბადრუკი, მშობარა და ქალაქუნა არის თავის საკუთარ მოღვაწეობის დეფექტების აღიარებაში.

რით არის ეს გამოწვეული? იმით, რომ ბურჟუაზიული კლასი, მოქმედებდა რა სახელმწიფოში, მას აქვს სხვა და სხვანაირი განწყობილება სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფთან თუ კლასთან ეკონომიური ნიადაგზე. ბურჟუაზიის არ შეუძლია საკუთარი მოღვაწეობა სამართლიანად დაფასოს იმ დროს, როცა ხალხისა და ბურჟუაზიის ინტერესებს შორის უთანხმოება არ ს, როცა მისი მოღვაწეობა ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს. მაგრამ ამავე დროს, იგი იძულებული არის სთქვას არა სიმარაღე, იმიტომ, რომ მისი მოვალეობა არის დაცვისა საკუთარი კლასის ინტერესები. მუშათა კლასი, რომლის პარტიული წარმომადგენელი არის ჩვენი მთავრობა, არ არის ამ პირობებში ჩაყენებული.

ბ. კელა (ადგილიდან)—ის არის ერის წარმომადგენელი. გ. ერაძე—დაიხ, ერის წარმომადგენელი. მხოლოდ ამავდ დროს მუშათა კლასის პარტიული წარმომადგენელი. მუშათა კლასის, სამართლის აღიარება თვის საკუთარ მოღვაწეობაზე არ აშინებს, რადგან დეფექტების აღნიშვნით ეძლევა საშუალება, რომ თვისი შეცდომები გაასწოროს და ამით ხელი შეუწყოს ერის და საკუთარი კლასის კეთილდღეობას.

ჩვენ, იმ კრიტიკაში, რომელსაც აწარმოებენ ამ ორი თვის განმავლობაში, მომარაგების სამინისტროს წინააღმდეგ, ვერ ვნახეთ დარბაისლური კრიტიკა, ვერც ამ ტრიბუნაზე და ვერც პრესაში. უნდა ვაღიაროთ, რომ ერთად ერთი ჯგუფი, რომელმაც დარბაისლობა დაიკვა ამ საქმეში იყო გავითი „Наблюдательное Слово“ (სიცილი, ხმაურობა). ამის უმთავრესი მიზეზი ალბათ ის ვახლავთ, რომ ეს ჯგუფი დღევანდელ პირობებში ვარაუდულად არის პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზიდან და რადგან იგი იმ ხანათ ისე აქტიურად ჩაბმული პოლიტიკურ ბრძოლაში ჩვენი კლასის წინააღმდეგ იყო, ამიტომ მან შედარებით უფრო შეინარჩუნა ობიექტურობა.

ბატონებო, დაცნვა, მასხარად და აბუჩად ავადება პიროვნებისა, უწყებისა არ არის და არსად იგი არ ყოფილა საბუთი სიმართლის დაცვას. მეუი ის წყება მასხარად ავადებისა, რომელიც გამაღიოდა ნაციონალ-დემოკრატებიდან, და მათ ვახვთ „საქართველო“ დან, რომ გუშინდელი პრივატიზაციები დღეს განაგებენ სახელმწიფოს მართვა გამგეობის და სახელმწიფოს საქმეს...

ლოვე პერიოდში ახალი მოსავლისა, მომარაგების საზღვრებს უნდა შეესაბამებოდეს და დამატებით უნდა დაეკარგა სოფლის მეურნეობის უფრო მეტი სარგებლობა. ეს არის ერთი ძველი საქმეა და იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. აუარებელი მიწები და აუარებელი მოვლენა უშუალოდ ხელს მომარაგების საზღვრების მოწოდებას. ჩამოვითვლით: ავიღოთ ის მხარე, რომ ხალხი ისეთი დამფრთხალი და შეზღუდული იყო წარსული მდგომარეობით, რომ მის დაეკარგა სოფლის მეურნეობა და რეჟიმები, რომ წინ არ დაემშობოდნენ. მოქალაქეები უსწრაფესად იმდენად დამფრთხალი იყვნენ, რომ ახალი მოსავლისთანავე გაეშურნ სოფლისაკენ. თუ წარსულ ნორმალურ პირობებში სავაჭროდ ხორბლის შესაძენად ან რუსეთიდან მოსატანად, საქმარისი იყო პატარა ჯგუფები ვაჭრების; დღევანდელ პირობებში იგი მოუხერხებელი შეიქნა, ვინაიდან დამფრთხალი ხალხი ყველა ვაჭრობდა და ყველა შეესაბამებოდა. ეს ვაჭრობები, ცხადია, იყო ხელის შემშლელი მომარაგების საზღვრების მოწოდების, რომლისთვის საჭირო იყო ერთბაშად ბევრი ხორბლეულობის შექმნა.

(დასასრული იქნება)

შინაგან საქმე. საზღვრისკენი ციკულიარი.

რესპუბლიკის ყველა სამხარო ერთეულის გამგებებს, ქალ. ტფილისის მილიციის უფროსს და აფხაზეთის კომისარიატს.
დამატებით ამა წლის 14- იანვარს № 22732 ციკულიარული მომართვისა და პრილ დასახიჩრებულთ. თვის დახმარების ახალი ნორმებით გაცემის შესახებ, კანცელარია გატყობინებთ, რომ აღნიშნული ციკულიარით იცვლება არა მარტო 8 ივნისის № 11520, არამედ აგრეთვე უკანასკნელი 23 ივნისის № 13197 ციკულიარით. ამასთანავე კანცელარია დასძენს. რომ გადიდებული ნორმებით დახმარება უნდა გვეცეს ამა წლის 1- ლ იანვარს.

შუგდადის შინაგან საქმეთა საზღვრისკენი ზედღიდის სამხარო ერთეულის მიხედვით ცნობა იმის შესახებ, რომ მიღებულ ზომების გამო ყარაღებმა დაზარადა და აბსინდემ შორი ჩილება განაცხადეს.

ანგორის მთავრობის წარმომადგენლისგან

საქართველოში დანიშნულმა ოსმალეთის ეროვნული კრების წარმომადგენლობამ შემდეგი განაცხადა: უკანასკნელ დღეებში გაზ. „აზხატორი“ აგიტაციის აწარმოებს ოსმალეთისა, ოსმალეთის პოლიტიკისა და ოსმალეთისა და საბჭოთა რუსეთის კავშირის წინააღმდეგ და თავხედურად შეეხო საქართველოსა და ოსმალეთის კეთილ-მეზობლურ განწყობილებასაც კი. მე დიდის გავიარებით წავიკითხე ამ გაზეთის პროვოკაციონური ცნობა იმის შესახებ, თითქოს ოსმალები ჯარს აგროვებდნენ საქართველოს საზღვრებთან, თითქოს ოსმალები ფიქრობდნენ მოკლე დროში შეტევის დაწყებას, და ცნობას იმ პროპაგანდის შესახებ, რომელსაც ვითომ ოსმალები აწარმოებდნენ აჭარაში, საქართველოს წინააღმდეგ. მე მოხარული ვარ საქართველოს პოლიტიკისა და პოეზის შორს მჭვრეტელობით, რომელთაც შესაფერათაც შეიფასეს ამ ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ცრუ ხმები, ჩვენ ზედ უფრო აღვრ. ამაში მოსიხსნა გამოცდილება და შორსმჭვრეტელობა საქართველოს დამოღობით, რომელშიც საქმოდ ნათლად წარმოიდგინა ამ გაზეთის პოლიტიკური ორინება. ამ გაზეთის ცნობების უარისყოფა მიმჩნია ზედმეტად, რადგან ამ ორმა მთავრობამ და ხალხმა მშვენიერად გაიციეს ერთი მეორე.

გაყოფი და ხვრასილი ქართველები

საქართველოს საგარეო საქმეთა საზღვრისკენი მთავრობის მიხედვით ცნობების თანახმად ბაქოში დაუხვრეტით შეიძლება ქართველი მოქალაქეები ბიჭორის მიხრასის ძე პლავსკი. პეტრე ადამის ძე საყვარელიძე, ირაკლი დიმიტრის ძე გომელაური, შალვა ივანეს ძე ხეჩია, კონსტანტინე ლუკას ძე ქუთათელაძე, ანდროი ვარლამის ძე ჩხვიძე, რუბენ სარქიის ძე ზახარაძე, გრიგოლ მაქაიძის ძე დოლიძე, შალვა ანტონის ძე ლოლობერიძე და ალექს

სანდრე თურქაძე. მიხეილ სიმონის ძე ძიძიგორის შესახებ ცნობები არ მოსულა. პოლოვანიკი ილია კონსტანტინეს ძე ნიქრადე ხოლოგორის სკონცენტრაციო ბანაკში გაუგზავნიათ.

სტრუქცი საგარეო უსწრესი

განტო „გრუზის“ მოქალაქე ტროცკის ინტერვიუ, რომელიც ჰქონია ერთ რუს მენშევიტთან ხარკოვში. მოგვეცეს ის ადგილი, სადაც ტროცკი ეხება საქართველოს.
საუბრის დროს ტროცკისთვის მიეტანათ კავკასიის გაზეთები, რომელიც სავსე ყოფილა მასწავლებით საქართველოს შესახებ, ეს გაზეთები რომ გადაეფარებებოდა ტროცკის ეთქვა: მე აღწევთებული ვარ იმ საქციელით და კომპანიით, რომელსაც ეწვიან კავკასიის გაზეთები საქართველოს შესახებ, რომელთაც არა სურთ ამ საქითხში ცენტრს გაუწიონ ანგარიში. ცენტრს არ სურს საქართველოსთან უმი, არც პრინციპილურად, არც პრაქტიკულ მოსაზრებით და არც რეალურ პოლიტიკის კარნახით. ჩვენ მიმდინარე ანგარიშში არ შედის იმ საქართველოსთან და მისი სოვეტიზაციის საკითხი ეს თვით საქართველოს შინაური ცხოვრების და გარემოების საქმეა, რომელშიც ცენტრს არა სურს ჩარევა და იქონიოს რაიმე ძალმომრეობა. რაც შეეხება საქართველოს და ჩვენ შორის დღევანდელ ხელშეკრულებას უნდა ითქვას; რომ ეს თავისთავად ბუნებრივია და აქ არავითარ ძალდატანებას არა ჰქონია ადგილი. ჩვენ კარგად ვიყავით დარწმუნებულნი იმაში, რომ საქართველოდან არავითარი საფრთხე არ მოგველოდა. ჩვენი ხელშეკრულება თავისუფლების აქტის ქვეშ მოხდა და მისი ღირსებაც ამაშია. ჩვენ რომ საქართველოზე სულ სხვა გეგმები გვქონოდა, როგორსაც ჩვენ ვაწერენ ხოლმე, მაშინ ჩვენი საქციელი სულ სხვა იქნებოდა და სხვა იარაღებსაც მივსწამებოდა. ყველა ახლად აღორძინებული სახელმწიფოების დამოუკიდებლობა ჩვენ ვიცნობთ და ჯერ არც ვფიქრობთ მათ თავდასხმას. ასე ათავებს თავის სიტყვას რუსეთის უზურპატორი და ასე ჰქონია მას, ბაღის ვისმე გულუბრყვილოს ველაპარაკებო. თვით მისი სიტყვები ამტკიცებს რუსეთის გულის ზოხებას „ჯერ“ არ ვფიქრობთ! ამბობა ტროცკი. ჩვენც ვიცით, რომ რუსეთი დიდი ხანა „ჯერ“ ელოდება საქართველოზე თავდასხმას. ჩვენ არ ვაძიებთ რამდენად სწორედ ხარკოვის ინტერვიუ ან გაზეთ „გრუზის“ ნათარგმნი, მაგრამ დღემდის ჩვენთვის აშკარაა ის, რომ რუსეთის სიტყვას და საქმის შორის დიდი უფსკრულია.

ახალი აგებები

პარასკევს, 31 დეკემბერს, ქართველ-სომეხთა ომის ორი წლია თავზე, ტფილისის სამხედრო წმ. გიორგის სახელობის ტაძარში გადხდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი სამშობლოსთვის თავდადებულ მებრძოლთა მოსახსენებლად.

ფინანსთა ხანისტროში. დეკემბრის 26, ს. ავლი. ნის თავმჯდომარეობით ფინანსთა საზღვრისკენი შეადგა თათბირი, რომელშიც დაადგინა დაარსდეს საგანგებო კომისია, რომელშიაც შევლენ ოთხი ორგანიზაციის წარმომადგენელი: საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოების კავშირი, საქართველო. კოოპერატიული ბანკი და მწყემსის კოოპერატიული საზოგადოებისა და ახლად დაარსებული სასოფლო-სამეურნეო პალატისა. კომისიის მიენდო ამასთანავე მოიწვიოს კოოპერაციის ძალით ის პირობები, რომლებიც წერილი კრედიტის მცოდნეთა ითვლები.

საქართველოს ტერიტორიის საზოგადოებაში. დღეს, 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე ეროვნულ (ყოფილ ფერდინანდის) ქუჩა, № 11, შესდგება საქართველოს ტერიტორიის საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ფ. რ. შვ. ივ. ტყეშელაშვილი შემდეგ თემაზე: „საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე“.

გამოვადი და იყიდება ერობათა კავშირის ბიზ. რუსეთისთვის. პრესა № 24) პროექტი ს. ქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ხალხსადმი სტრატეგიის ერთეულებად (ოქტებად), შემოწმებული დამფუძნებელი კრების თვითმართველობის მიერ.

შაქრის ქაზანა. შავი ქვის მოწვევითა საქციონერო საზოგადოებამ აღძრა შუამდ-

გომლობა მიწად მოქმედების საზღვრისკენი წინაშე, მის გამგებლობაში იჯარით 3-5 ათასი დესეტინა მიწის გადაცემის შესახებ. საზოგადოებას შაქრის ქარხნის აგება და მოწოდების მზარაში ქარხნის დაფინსა აქვს განზრახული. შუამდგომლობა დასკვნისათვის სახელმწიფო მამულების განყოფილებას გადაეცა.

შეზის დამზადება. მიწათ-მოქმედების საზღვრისკენი შეზიგადა შუამდგომლობა 2 ტყის მრწველისაგან ლეჩხუმის მხარაში ორითას საე. შეზის დამზადების ნებართვის მიცემის შესახებ. განზრახულია ამ შეზის ქუთაისში არსებულ მუშათა მაგიდის განკარგულებისათვის გადაეცა.

სწავლა-განათლება ტფილისში. დამფუძნებელ კრების იურიდიულმა კომისიამ განახილა იუსტიციის საზღვრისკენი განკარგული პროექტი კანონის ტფილისში შორის სწავლა-განათლების განვითარების შესახებ. პროექტი დასკვნისათვის სახალხო განათლების კომისიის გადაეცა.

ნავთი. ლუშათა მაგიდამ დაიწყო მუშა-მოსამსახურებისათვის ნავთის დარიგება. ოჯახს მიეცემა ერთი ფუთი 140 მანეთად. ჯგუფების წარმომადგენლებმა დაწესებულებების რწმუნებულების ბარათით უნდა მიმართონ მუშათა მაგიდას. ნავთის მიღება შეიძლება საქციონერო საზოგადოებაში.

ქართველების ევაკუაცია. ტფილისში მთავრობის ნებართვით არსდება ბიურო რუსეთიდან ქართველების ევაკუაციისათვის. ბიუროს წესდება დასამტკიცებლად არის გადაცემული. ბიურო მადლობას უხდის მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობას, სახალხო გვარდიის შტაბსა და სხვ. ლტოლვილთა მიმართ, გამოჩენილ თანაგრძობისათვის და ბიუროსადმი დახმარების აღმოჩენისათვის. ლტოლვილთა მიერ ფულის მიღების საბუთი და საერთო მიღებული ფულის ანგარიში წარდგენილია შინაგან საქმეთა საზღვრისკენი.

მაგარებლები მიმოსვლა. 30 დეკემბრიდან შეცვლილია მატარებლების მიმოსვლა. მატარებელი № 3 ტფილისიდან გადის დილის 10 საათზე 53 წუთზე, მატარებელი № 21 ტფილისიდან გადის საღამოს 10 საათზე და 37 წუთზე ბათუმიდან (№ 22) მოდის დ. მის 12 საღ. 58 წუთ. მატარებელი (№ 140) ტფილისიდან გადის დილის 4 ს. მატარებელი № 141 გამოდის დილის 9 ს. და 10 წ. ჩამოდის ტფილისში დილის 5 ს. 31 წ. ტფილისიდან № 390/391 მატარებელი სანაინში გადის დილის 7 ს. და 45 წ. სანაინში ჩადის დილის 5 ს. 28 წ. სანაინიდან (№ 418/419) მატარებელი გამოდის დილის 8 ს. და ტფილისში ჩამოდის დილის 4 ს. და 53.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ე

დაიკარგა პასპორტი მიღებული სოფ. შტმერის კომისარისგან, მხეილ ვასილის ძე მაისურაძის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4510 3-1

დაიკარგა პასპორტი გრიგოლ ლეონარის ძის პრემიანის სახელზე, მიღებული კავკასიის პოლიციიდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4520 3-1

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული № 3071 სტ. ქალის თამარ დონჯაშვილის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4531 3-1

მინდობილობა, მიკეიმული ანა შანშეს ასული და ანა სიმონის ასული წერეთლები საგან გრიგოლ დიმიტრის ძე წერეთელზე და შედგენილი ქ. ტფილისის ნოტარიუსთან გიორგი ლუბარასის ძე მაჭავარიანთან 1919 წელს ივლისის 7-ს რეესტრით № 5251. გაუქმებულია. 4533 1-1

დაიკარგა პასპორტი № 7797 მარია მელიქის ასული არაქელიანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციისტრის სამმართველოდან 1914 წ. და ნავთის ბარათი. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4513 3-1

დაიკარგა მოწმობა № 1318 უმცროსი მილიციონერი ნიკოლოზ ალექსის ძე იაკოვლევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4515 3-1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ავეტიკოვის ძე ტერ-აკოფოვის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1899 წ. ივნისის 28-ს რეესტრით № 1460. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4519 3-1

დაიკარგა საბინაო დავთარი ვაკეზე მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ტრიფონ პავლეს ძე გიგინეიშვილს. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4521 3-1

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული სტ. ნიკოლოზ შუბლაძის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4526 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 66-ლეიტენანტი ბახტაძის სახელზე, მიღებული განსაკუთრებული საავტომობილო გუნდის უფროსისგან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4527 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ლევან თივაზიანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციისტრისკენი 1919 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4529 3-1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 25-26 ივნისის 1920 წ. საქმე გარდაცვალებულ 28 თებერვალს 1920 წ. ივანე მაქსიმეს ძე დრავუნოვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 3778 1-1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 5 ნოემბერს 1920 წ. საქმე გარდაცვალებულ 24 აგვისტოს 1920 წ. პრასკოვია ნიკოლოზის ასულის ზარეციის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 3850 1-1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 22 ნოემბერს 1920 წ. საქმე გარდაცვალებულის 24 სექტემბერს 1920 წ. ნიკოლოზ იაკობის ძე ანტონოვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 3901 1-1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 7 ივნისის 1918 წ. საქმე გარდაცვალებულ 23 აპრილს 1917 წ. კაპიტოლიან მათეს ასულის მიტროფ. ნოვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 3633 1-1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 28 სექტემბერს 1915 წ. საქმე გარდაცვალებულ 17 სექტემბერს 1914 წ. ელისაბედ სინონის ასულის ავნიევის ნოტარ. სასული. ანდ. დამტ. შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 3038 1-1

დაიკარგა საბინაო დავთარი კახეთის ქ. № 1 მდებარე სახლის, რომელიც მოთავსებულია სახალხო უნივერსიტეტი. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4419 3-3

დაიკარგა საბინაო დავთარი რკინის გზის ლიანდაგის ვალო მდებარე სახლის და საოჯახო პასპორტი გერტე მირაბიანის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4422 3-3

დაიკარგა უფადო პასპორტი № 3061 მიღებული ტფ. პოლიციისტრის სამმართველოდან 28 მარტს 1910 წ. კონსტანტინე სტეფანეს ძე იალუნის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4442 3-3

დაიკარგა სახელმწიფო ბეგრადიან თავისუფლების მოწმობა № 539, მიღებული ტფილ. ქალაქის გამგეობის სახელმწიფო აღრიცხვის განყოფილებისგან არშაქ ალექსანდრეს ძე სილოვის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4434 3-2

დაიკარგა პასპორტი 699 ბენიამინ ფრანგილის ძე ბაღდასაროვის სახელზე, მიღებული სომხეთის ეროვნულ საბჭოლიდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 4434 3-3

დაიკარგა საოჯახო უფადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიციისტრის კანცელარიიდან ენოქ გრიგოლის ძე აბრამიანის სახელზე, გაუქმებულია ჩაითვალოს. 4441 3-3